იზოთერმულ-იზობარულ პირობებში შექცევადი პროცესის შედეგად გიბსის ენერგია მთლიანად გადადის სასარგებლო მუშაობაში მას უწოდებენ თავისუფალ ენერგიას,  $TS$  ნამრავლი კი ახასიათებს სითბოს სახით განხზეულ ენერგიას, რომელიც აღნიშნულ პირობებში მუშაობაში არ გადადის, ანუ ბმულ ენერგიას. როცა სასარგებლო მუშაობა არ სრულდება პროცესის თავისთავად მიმდინარეობის პირობაა გიბსის თავისუფალი ენერგიის შემცირება.

ქიმიური რეაქციის მიმდინარეობისას სისტემის მდგომარეობის ფუნქციების ცვლილება ხდება.  $G$  ფუნქციის სასრული ცვლილება ჩაიწერება:

$$\Delta G = \Delta H - T\Delta S \quad (26)$$

ქიმიური წონასწორობა არის მორეაგირე ნარევის ისეთი მდგომარეობა, როდესაც დროის ერთეულის განმავლობაში პირდაპირი რეაქციის შედეგად წარმოქმნილი პროდუქტის მოლეკულათა რიცხვი უტოლდება საპირისპირო რეაქციის შედეგად ამავე პროდუქტის გარდაქმნილ მოლეკულათა რიცხვს.

რეაქციის სტანდარტული იზობარული პოტენციალი  $\Delta G^0$  უტოლდება  $\Delta G$ -ის, როცა გარდაქმნაში მონაწილე ყველა ნივთიერების პარციალური წნევა რჩება 1 ატმოსფეროს ტოლი.

$$\Delta G = -RT \ln K_p \quad (27)$$

სადაც,  $K_p$  არის რეაქციის წონასწორობის მუდმივა (გამოსახული წონასწორობის პარციალური წნევებით)

ვანტ-ჰოფის იზობარის განტოლება მდგომარეობს შემდეგში:

$$\frac{d \ln K_p}{dT} = \frac{\Delta H^0}{RT^2} \quad (28)$$

### 2.3.2. ენანტიომერული ნარეგების დაყოფის თერმოდინამიკური პარამეტრები

ტემპერატურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ენანტიომერების დაყოფაზე [43, 64-73].

გიბს-ჰელმჰოლცის განტოლების მიხედვით:

$$\Delta G^0 = \Delta H^0 - T \Delta S^0 = -RT \ln K \quad (29)$$

წონასწორობის მუდმივა უკავშირდება ქრომატოგრაფიულ პარამეტრებს, შეკავების ფაქტორსა ( $k$ ), და სვეტის ფაზურ თანაფარდობას ( $\phi$ ), ანუ სვეტში არსებული სტაციონარული ფაზის შეფარდებას სვეტში არსებული მოძრავ ფაზასთან:

$$k = K \phi \quad (30)$$

ვანტ-ჰოფის განტოლების გამოყენებით შეიძლება აღიწეროს შეკავების ფაქტორის ტემპერატურასთან დამოკიდებულება:

$$\ln k = -\frac{\Delta H^0}{R} \cdot \frac{1}{T} + \frac{\Delta S^0}{R} + \ln \phi \quad (31)$$

თუ ფორმულის მიხედვით ავაგებთ  $\ln k$ -ს  $1/T$ -სთან დამოკიდებულების გრაფიკს, მაშინ ადსორბციის სტანდარტული მოლური ენთალპიის ცვლილება გამოითვლება



წრფის დახრის კუთხის მიხედვით, ხოლო ადსორბციის მოლური ენტროპიის ცვლილება - ორდინატთა ღერძთან გადაკვეთის მიხედვით.

ენანტიომერების დაყოფისას ადსორბციის თავისუფალი ენერგიის ცვლილება ჩაიწერება, როგორც:

$$\Delta_{S,R}\Delta G^0 = \Delta_{S,R}\Delta H^0 - T\Delta_{S,R}\Delta S^0 = -RT\ln\frac{K_S}{K_R} \quad (32)$$

ფორმულაში ინდექსები S და R შესაბამისად გამოხატავს მეტად და ნაკლებად შეკავებულ ენანტიომერს.

$\Delta_{S,R}\Delta G^0$  სიდიდეზე დაბალ ტემპერატურაზე მეტ გავლენას ახდენს ენთალპიის ცვლილება, ხოლო მაღალ ტემპერატურაზე - ენტროპიის ცვლილება.

ტემპერატურის ზრდისას ნელ-ნელა იზრდება ენტროპიული წილი და რაღაც ტემპერატურაზე, რომელსაც იზოენანტიოსელექტიურ ტემპერატურას უწოდებენ

( $T_{iso}$ ),  $T_{iso} = \frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{\Delta_{S,R}\Delta S^0}$ , ენთალპიური ნაწილი და ენტროპიული ნაწილი ერთმანეთს

გაუტოლდება:

$$\Delta_{S,R}\Delta H^0 = T\Delta_{S,R}\Delta S^0$$

ამ დროს ადსორბციის თავისუფალი ენერგიის ცვლილება იქნება ნული

$$\Delta_{S,R}\Delta G^0 = 0$$

და ენანტიომერების დაყოფა არ მოხდება.  $T_{iso}$ -ზე მაღლა ტემპერატურის მატებით ენანტიომერების ელუირების რიგი იცვლება.

დაყოფის ფაქტორის  $\alpha$ -ს მნიშვნელობის გათვალისწინებით ( $\alpha = K_S/K_R$ ) (33) ,

შეიძლება ჩაიწეროს დაყოფის ფაქტორის ლოგარითმის დამოკიდებულება აბსოლიტური ტემპერატურის შერბრუნებულ სიდიდეზე და აგებული გრაფიკიდან გამოითვალოს ენანტიომერების დაყოფის ენთალპიის და ენტროპიის მნიშვნელობები:

$$\ln\alpha = -\frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{R} \cdot \frac{1}{T} + \frac{\Delta_{S,R}\Delta S^0}{R} \quad (34)$$

უნდა აღინიშნოს, რომ ვანტჰოფის მიდგომა სამართლიანია წონაწორული პროცესებისთვის, მაშინ როდესაც ქრომატოგრაფიულ ექსპერიმენტში გავქვს ფსევდოწონასწორობა. გარდა ამისა, სისტემა არ არის ჩაკეტილი, ხოლო პროცესი არც იზობარული და არც იზოქორული არ არის [71,74-78]. აქედან გამომდინარე, საქმე გვაქვს გარკვეულ მიახლოებასთან.

## 2.4. მას-სპექტრომეტრია

### 2.4.1. მას-სპექტრომეტრიის ზოგადი მიმოხილვა


მას-სპექტრომეტრიაში შესაძლებელია მხოლოდ იონურ მდგომარეობაში მყოფი ნაერთების ანალიზი. ნაერთების იონურ მდგომარეობაში გადაყვანა ხდება იონური წყაროს საშუალებით. იონური წყარო შეიძლება იყოს ხისტი და რბილი [79]. ხისტი იონური წყაროა ელექტრონებით იონიზაცია, რადგან ამ შემთხვევაში მაღალი ენერჯია ზემოქმედებს, რაც იწვევს ფრაგმენტების ფორმირებას. რბილი იონური წყაროა ელექტროშეფრქვევის იონიზაცია [80-85]. რბილი იონური წყაროს შემთხვევაში ფრაგმენტაციის ხარისხი დაბალია და ხშირ შემთხვევაში შეგვიძლია უგულებელვყოთ. ელექტროშეფრქვევის იონიზაცია გამოიყენება ძლიერ პოლარული და იონური ნივთიერებებისთვის. ელექტროშეფრქვევის იონიზაციაში ნიმუში გვაქვს სითხის სახით. სითხე არის გამხსნელი, რომელშიც გახსნილია საკვლევი ნივთიერება. ელექტროშეფრქვევის იონიზაცია ძალიან მგრძობიარე მეთოდია, ამიტომ ნიმუში აუცილებლად განზავებული უნდა იყოს. ელექტროშეფრქვევის იონიზაციაში გამხსნელი უნდა იყოს პოლარული და აქროლადი, მაგ: მეთანოლი, აცეტონიტრილი, იზოპროპანოლი და ა.შ. ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას წყალნარევი ორგანული გამხსნელი, მაგრამ წყალი მცირე რაოდენობით გამოიყენება, რადგან წყლის ზედაპირული დაჭიმულობა მაღალია.

ექსპერიმენტში გამოყენებულია ხელსაწყო, რომელსაც ელექტრული შეფრქვევის იონიზაცია აქვს, შესაბამისად გვაქვს მოლეკულური იონები. ელექტრული შეფრქვევის იონიზაციას გამიზნულად ვიყენებთ, რადგან ფრაგმენტაცია არ მოხდეს და მოლეკულური იონი მივიღოთ.

## 2.4.2. მას-სპექტრომეტრის ხელსაწყო სქემა და მუშაობის პრინციპი

ზოგადად, მას-სპექტრომეტრმა უნდა შეასრულოს სამი ფუნქცია [79,86]:

- ა) იონების წარმოქმნა - ნიმუშს ეცემა ელექტრონების მაღალი ენერჯის სხივი, ნიმუშის მოლეკულების ნაწილი გარდაიქმნება იონებად;
- ბ) იონების დაყოფა - იონები განიცდიან აჩქარებას ელექტრულ ველში და ხვდებიან მაგნიტურ ველში, სადაც ნეიტრალური ნაწილაკები არ იცვლიან მოძრაობის მიმართულებას, ხოლო იონები იცვლიან მოძრაობის ტრაექტორიას და დაიყოფიან მასა-მუხტი შეფარდების ( $m/z$ ) თანახმად;
- გ) იონების დეტექტირება - მას-სპექტრომეტრმა უნდა შეასრულოს დაყოფილი იონების თვისებითი და რაოდენობითი შეფასება. მას-სპექტრომეტრების ტიპებს შორის განსხვავებას განაპირობებს აღნიშნული ფუნქციების შესრულების მეთოდებს შორის სხვაობა. ყველა მას-სპექტრომეტრისთვის ზოგადი აუცილებლობაა მაღალი ვაკუუმი ( $\sim 10^{-6}$  ტორი).



სურათი 8. მას-სპექტრომეტრის პრინციპული სქემა

საკვლევი ნიმუში თავსდება მას-სპექტრომეტრში. ნიმუში ჩვეულებრივ, წყლიან ან ორგანულ გამხსნელში ორთქლდება გამაცხელებლის მიერ, ორთქლად ქცეული ნიმუში კი „იზომბება“ მაღალენერგეტიკული ელექტრონებით. ამ ელექტრონებს საკმარისი ენერჯია აქვთ ნიმუშში არსებული ატომებიდან ელექტრონების მოსახლეჩად, ამ პროცესის შედეგად კი ვიღებთ დადებითად დამუხტულ იონებს. ეს

იონები აჩქარდებიან, გაივლიან ელექტრულ ფირფიტებს შორის და შედეგად გადაიხრებიან მაგნიტურ ველში.

იონის მუხტზე და სიჩქარეზეა დამოკიდებული ის, თუ როგორი ხარისხით გადაიხრება იონი. ნელა მოძრავი იონები (ანუ, უფრო მძიმე იონები) ნაკლებად გადაიხრებიან, ხოლო სწრაფად მოძრავი იონები (ანუ, უფრო მსუბუქი იონები) მეტად გადაიხრებიან. დამატებით, მაგნიტური ველი უფრო მეტად გადახრის მაღალი მუხტის მქონე იონებს, ვიდრე დაბალი მუხტის მქონეს.

მაგნიტურ ველში იონის გადახრის ხარისხი მისი მასისა და მუხტის ფარდობის უკუპროპორციულია -  $m/z$  სადაც  $m$  არის იონის მასა, ხოლო  $z$  - მისი მუხტი. გადახრის შემდეგ იონები მიაღწევენ მას-სპექტრომეტრის დეტექტორს, რაც ზომავს ორ სიდიდეს: 1) თითოეული იონისთვის  $m/z$  თანაფარდობას და 2) რამდენი იონია კონკრეტული  $m/z$  თანაფარდობით. ნიმუშში არსებული კონკრეტული იონის ფარდობითი შემცველობა დაითვლება შემდეგნაირად: კონკრეტული  $m/z$  თანაფარდობის მქონე იონების რაოდენობა გაყოფილი დეტექტორში შესული იონების მთლიან რაოდენობაზე. ექსპერიმენტის ბოლოს, ხელსაწყო იძლევა ნიმუშის მას-სპექტრს, რომელიც გრაფიკულად ასახავს დამოკიდებულებას ფარდობით შემცველობასა და  $m/z$ -ს შორის.

ზოგ ექსპერიმენტში, მას-სპექტრომეტრის მიერ გენერირებული ყველა იონის მუხტი +1-ია. ამ შემთხვევაში, თითოეული იონის  $m/z$  თანაფარდობა პირდაპირ ტოლია  $m$ -ის, ანუ იონის ატომური მასის. შედეგად, უფრო მარტივ მას-სპექტრებში  $x$  ღერძზე ატომური მასა  $u$  ერთეულით გამოისახება და არა  $m/z$ -ით.

მას-სპექტრომეტრული ანალიზების დროს პირველი საფეხურია შემავალი ნიმუშის იონიზაცია. გამოიყენება შემდეგი სახის იონური წყაროები: ელექტრონებით იონიზაციის (EI), ქიმიური იონიზაციის (CI), სწრაფი ატომებით ბომბარდირების (FAB), იონიზაცია ელექტროგაფრქვევით (ESI), მატრიცული ლაზერული დესორბცია/იონიზაცია (MALDI).

იონურ წყაროში წარმოქმნილი იონები შედის მას-ანალიზატორში ანუ მას ფილტრში. გამოიყენება შემდეგი სახის მას-ანალიზატორები: კვადროპოლური,

მაგნიტური სექტორის ველის, ელექტრული სექტორის ველის, განარბენის დროის (TOF), იონების ჩაჭერის.

იონების გაფილტვრის შედეგად მიღებული იონური ნაკადი ფიქსირდება სხვადასხვა ტიპის დეტექტორებით: ელექტრონული გამამრავლებელი, მრავალარხიანი ფირფიტა, ფარადეის ცილინდრი.


კვადრუპოლური მას-სპექტრომეტრი წარმოადგენს ოთხ მაგნიტს, ჰიპერბოლურ განივ კვეთაში, რომლებიც განლაგებულია შემდეგნაირად: ერთ წყვილს მიეწოდება მუდმივი დენი, მეორე წყვილს კი ცვლადი დენი. მხოლოდ მოცემულ იონს შეუძლია სათანადოდ მოვიდეს რეზონანსში და მიაღწიოს დეტექტორამდე. უპირატესობა არის ინსტრუმენტის კომპაქტურობა, თითოეული ღერო არის ბურთულიანი კალამის ზომის.

მას-სპექტრი წარმოადგენს იონის ფარდობითი შემცველობის მასა/მუხტი ფარდობაზე დამოკიდებულებას. იონიზაციის პროცესში წარმოქმნილი ყველაზე მაღალი შემცველობის იონი იძლევა მას-სპექტრში ყველაზე მაღალ პიკს, იგი წარმოადგენს ძირითად პიკს. ყველა სხვა პიკის ინტენსიურობა ძირითადი პიკის პროცენტული შემცველობის მიმართ ფარდობით სიდიდეს წარმოადგენს. თუ მოლეკულა კარგავს იონიზაციისას მხოლოდ ერთ ელექტრონს, დაიკვირვება მოლეკულური იონი, რომელიც გვამლევს მის მოლეკულურ წონას და სპექტრზე ის აღინიშნება, როგორც M+. უმეტეს შემთხვევებში, როცა მოლეკულა კარგავს სავალენტო ელექტრონს, ბმები წყდება, ანუ იონი სწრაფად წარმოქმნის ფრაგმენტს დაბალი ენერჯის იონებისკენ. დამუხტული იონების მასები რეგისტრირდება სპექტრომეტრის მიერ, როგორც იონების ფრაგმენტები. უნდა აღინიშნოს, რომ ნეიტრალური ფრაგმენტები არ რეგისტრირდება.

#### **2.4.3. მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფი/ მას-სპექტრომეტრი (HPLC/MS)**

მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფი/ მას-სპექტრომეტრი შედგება შვიდი ძირითადი ნაწილისგან: 1) ტუმბო 2) ინჟექტორი 3) ქრომატოგრაფიული სვეტი და მისი თერმოსტატი 4) იონური წყარო 5) მას-ანალიზატორი 6) დეტექტორი და 7)

მონაცემთა დამუშავების სისტემა. თითოეულ ამ ბლოკს აქვს თავისი დანიშნულება. მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფის ბლოკების დანიშნულება განხილულია 2.2.2. თავში. რაც შეეხება მას-სპექტრომეტრის ბლოკებს: 4) იონური წყარო, სადაც ნიმუშს შორდება თხევადი მოძრავი ფაზა ვაკუუმის გავლენით და განიცდის იონიზაციას. გამფრქვევი იონიზაციას ანიჭებს ნიმუშს, წარმოქმნება იონები. ელექტრული ლინზების საშუალებით ხდება იონურ წყაროში წარმოქმნილი იონების დაჩქარება და ფოკუსირება მას-ანალიზატორის მიმართულებით. 5) მას-ანალიზატორში მიმდინარეობს იონურ წყაროში ფორმირებული იონების დაყოფა მათი მასის მუხტთან ფარდობის მიხედვით [79,86]. TOF-ში მოცემული იონის იდენტიფიკაცია ხდება იმის მიხედვით, თუ რა დროში მიაღწია დეტექტორამდე. სხვადასხვა ნაწილაკებს აქვს განსხვავებული მასები, ამიტომ სიჩქარეც განსხვავებული ექნებათ და რადგან მათი დასაფარი მანძილი ერთნაირია, ამიტომ ფრენის დრო იქნება განსხვავებული. 6) დეტექტორის დანიშნულებას გასცეს ინფორმაცია დროის მოცემულ მომენტში მასზე დაცემული იონების რაოდენობის შესახებ. 7) შედეგების დამუშავება ხორციელდება კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, რის საფუძველზეც მიიღება ე.წ. მას-სპექტრი. მას-სპექტრის საშუალებით დგინდება დამოკიდებულება სიგნალის ინტენსივობასა (ორდინატა) და  $m/z$  სიდიდეს (აბსცისა) შორის. სიგნალის (პიკის) ინტენსივობა პროპორციულია იონურ წყაროში წარმოქმნილი იმ იონების რაოდენობისა, რომელთაგანაც მოცემული სიგნალია მიღებული.



სურათი 9. მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფი/მას-სპექტრომეტრის სქემა

#### 2.4.4. მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფია-მას-სპექტრომეტრის (HPLC-MS) გამოყენება

სითხური ქრომატოგრაფია - მას-სპექტრომეტრია (LC-MS) არის მძლავრი მეთოდი, რომელიც გამოიყენება უცნობი ქიმიური ნივთიერებების ენანტიომერების დაყოფაში, იდენტიფიკაციაში და რაოდენობრივ ანალიზში [87,91]. ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს სხვადასხვა მოლეკულების ქიმიური თვისებების შესახებ და გვეხმარება მათი სტრუქტურის დადგენაში. აღნიშნული მეთოდი ძალიან ეფექტურია მცირე მოლეკულების გასაანალიზებლად, აქვს უფრო მაღალი სელექტიურობა და მგრძობიარობა მრავალკომპონენტური ნარევის კვალის ანალიზში.

მას-სპექტრომეტრის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს ის რომ, იგი ერთდროულად არის როგორც უნივერსალური, ასევე სპეციფიური დეტექტორი. უნივერსალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთ ანალიზში შესაძლებელია რამდენიმე კომპონენტის გაანალიზება (მაგალითად: ვუთითებთ 100m/z-400m/z და ამ მასების უბანში დეტექტორი აფიქსირებს ყველა მასას). სპეციფიურობა კი იმაში მდგომარეობს, რომ დეტექტორს შეუძლია დააფიქსიროს მხოლოდ ერთი

მითითებული მასა და არ დააფიქსიროს სხვა მასები. დეტექტორი ასევე ხასიათდება: მაღალი სიზუსტით, სისწრაფით, დეტექტირების დაბალი ზღვართა და გაზომვის მაღალი დიაპაზონით.

სადისერტაციო ნაშრომში აღწერილ ექსპერიმენტში გამოყენებული ინსტრუმენტი იყენებს თანმიმდევრულად დაკავშირებულ ორ ოთხპოლუსიან მასის ანალიზატორს, შეჯახების უჯრედთან ერთად, რათა უზრუნველყოს უფრო მაღალი მგრძობიარობა და სელექტიურობა. ამასთან ერთად სისტემას გააჩნია მოლეკულური მასის იდენტიფიკაციის მაღალი სიზუსტე, აღმოჩენის დაბალი ზღვარი და გაზომვის ფართო დიაპაზონი. პირველად საკვლევი ნიმუშები იყოფა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფის გამოყენებით, შემდეგ კი მიემართება მას სპექტრომეტრში, სადაც ხდება გამხსნელის მოშორება, ნიმუშის იონიზაცია და საბოლოოდ დეტექტირება. სხვადასხვა უპირატესობა მოცემულ ინსტრუმენტულ სისტემას აქცევს მეტად ღირებულ საშუალებად მრავალი პრობლემის ადეკვატურად გადაჭრაში კვლევისა და ინდუსტრიის სფეროებში. HPLC-MS/MS მეთოდი აქტიურად გამოიყენება გარემოსთან დაკავშირებულ კვლევებში, კერძოდ, ნიადაგის, წყლისა და ჰაერის ნიმუშებში დამაბინძურებლების აღმოსაჩენად და რაოდენობრივი განსაზღვისთვის. მთელი რიგი პესტიციდებისა და სამრეწველო ქიმიკატების იდენტიფიცირებისთვის. საკვებ ნიმუშებში მიკოტოქსინების და სხვადასხვა ტოქსიკური მეტაბოლიტების მონიტორინგისთვის. HPLC-MS/MS მეთოდი აგრეთვე გამოიყენება ფარმაცევტულ ანალიზში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ინსტრუმენტული სისტემის გამოყენება უკონკურენტოა სასამართლო ექსპერტიზაში და კრიმინალისტიკაში ნარკოტიკების იდენტიფიკაციაში და რაოდენობრივად განსაზღვრაში სხვადასხვა ბიოლოგიურ ნიმუშებში [92-105]. HPLC-MS/MS სისტემას დიდი გამოყენება აქვს ფარმაცევტულ ქიმიაში სამკურნალწამლო წაშუალებათა აღმოჩენასა და ხარისხის კონტროლში, აგრეთვე, კომპლექსურ ბიოლოგიურ ნიმუშებში, როგორც მცირე ზომის მოლეკულების, ასევე პეპტიდებისა და ცილების რაოდენობრივ განსაზღვრაში და ასე შემდეგ [106-107].



### 3. ექსპერიმენტული ნაწილი

#### 3.1. გამოყენებული ხელსაწყოები

ანალიზების ნაწილი ჩატარებულია Agilent-ის 1200 სერიის მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფზე, რომელიც აღჭურვლია G1367C HiP ALS-SL ავტოსემპლერით, G1316 B TCC-SL სვეტების თერმოსტატით, G1311A ტუმბოთი და G1314DVWD ცვალებადი ტალღის სიგრძის ულტრაიისფერი ხილული დეტექტორით. კომპიუტერული პროგრამა Agilent Chemstation (version B.03.02-SR2) გამოყენებულია ხელსაწყოს კონტროლისთვის, მონაცემების მიღებისთვის და მონაცემების დამუშავებისთვის. ქრომატოგრაფიული დაყოფები ჩატარდა ოთახის ტემპერატურაზე და მოძრავი ფაზის ნაკადის მოცულობითი სიჩქარე იყო 1მლ/წთ. ულტრაიისფერი დეტექტორი მუშაობს 254 ნმ ტალღის სიგრძეზე. კვლევის თერმოდინამიკურ ნაწილში ქრომატოგრაფიული დაყოფები ჩატარდა 10-75°C-ზე.




სურათი 10. Agilent 1200 სერიის მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფი

აგრეთვე, ქრომატოგრაფიული კვლევებისთვის გამოყენებული იყო Agilent Technologies წარმოების 1220 სერიის მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფი, რომლის შემადგენელი კომპონენტებიც არის ბინარული ტუმბო, ნიმუშების ავტომატური მიმწოდებელი, სვეტის თერმოსტატი და ცვალებადი ტალღის სიგრძის ულტრაიისფერი ხილული დეტექტორი. ხელსაწყოს პროგრამულად მართვისა და მონაცემთა დამუშავებისთვის გამოყენებული იყო Agilent Chemstation. ამ შემთხვევაშიც, ქრომატოგრაფიული დაყოფები ჩატარდა ოთახის ტემპერატურაზე. მოძრავი ფაზის ნაკადის მოცულობითი სიჩქარე იყო 1 მლ/წთ. ულტრაიისფერი დეტექტორი მუშაობდა 254 ნმ ტალღის სიგრძეზე.




სურათი 11. Agilent 1220 სერიის მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფი

აგრეთვე, ანალიზები ჩატარდა Agilent 1260 Infinitive II სერიის გრადიენტულ მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფზე, აღჭურვილი ავტოსემპლერით (1260), თერმოსტატით (1260), ტუმბოთი (1260) და ცვალებადი ტალღის სიგრძის ულტრაიისფერი ხილული დეტექტორით (1290). სითხური ქრომატოგრაფი შერწყმულია მას-სპექტრომეტრთან - Agilent Technologies 6530 Q-TOF LC/MS. კომპიუტერული პროგრამა Agilent Chemstation გამოყენებულია ხელსაწყო კონტროლისთვის, მონაცემების მიღებისთვის და მონაცემების დამუშავებისთვის. ანალიზები ჩატარდა ოთახის ტემპერატურაზე და მოძრავი ფაზის ნაკადის მოცულობითი სიჩქარე იყო 1მლ/წთ, ინიცირებული ნიმუშის მოცულობა იყო 10 მკლ. ულტრაიისფერი დეტექტორი მუშაობდა 254 ნმ ტალღის სიგრძეზე. მეთოდი - MS2 სკანირების რეჟიმი.



სურათი 12. მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფი/ მას-სპექტრომეტრის ხელსაწყო.

აგრეთვე, აღსანიშნავია რომ ანალიზების ნაწილი ჩატარდა Agilent 1290 Infinite II სერიის მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფზე, აღჭურვილი ავტოსემპლერით (1290), თერმოსტატით (1290), ტუმბოთი (1290) და ცვალებადი ტალღის სიგრძის ულტრაიისფერი ხილული დეტექტორით (1200). სითხური ქრომატოგრაფი შერწყმულია მას-სპექტრომეტრთან - Agilent Technologies 6410 Triple Quad LC-MS. კომპიუტერული პროგრამა Agilent Chemstation გამოყენებულია ხელსაწყო კონტროლისთვის, მონაცემების მიღებისთვის და მონაცემების დამუშავებისთვის. ანალიზები ჩატარდა 25°C-ზე და მოძრავი ფაზის ნაკადის მოცულობითი სიჩქარე იყო 1მლ/წთ, ინიცირებული ნიმუშის მოცულობა იყო 5 მკლ. ულტრაიისფერი დეტექტორი მუშაობდა 254 ნმ ტალღის სიგრძეზე. მეთოდი - MRM.



სურათი 13. მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფი/ მას-სპექტრომეტრის ხელსაწყო.

### 3.2. გამოყენებული მასალები

ა) მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფის ექსპერიმენტში გამოყენებული იყო შემდეგი მოძრავი ფაზები: მეთანოლი, აცეტონიტრილი და ჰექსანი/იზოპროპანოლის ნარევი (სხვადასხვა მოცულობითი თანაფარდობით).

სამივე ელუენტზე გამოყენებული იყო ფუძე და მჟავე დანამატები:

1. დიეთილამინის დანამატი 0,1% (DEA) (v/v)
2. ჭიანჭველმჟავას დანამატი 0,1% (FA) (v/v)

მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფი-მას-სპექტრომეტრის ექსპერიმენტში მოძრავ ფაზად გამოვიყენეთ მეთანოლი-წყლის და აცეტონიტრილი-წყლის ნარევი 5 მილიმოლური ამონიუმის აცეტატის დანამატით, რომელიც იონიზატორის როლში იქნა შეტანილი მოძრავ ფაზაში. მოძრავი ფაზის თანაფარდობა:


MeOH/HOH 97/3% +5 mM NH<sub>4</sub> Ac

ACN/HOH 97/3% + 5 mM NH<sub>4</sub> Ac


ამონიუმის აცეტატის იმიტომ ვიყენებთ, რომ აქროლადია. მარილი აუცილებლად აქროლადი უნდა იყოს, რათა არ მოხდეს იონური წყაროს დაზიანება.

რაც შეეხება მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფი-მას-სპექტრომეტრის ექსპერიმენტს, სადაც მოვახდინეთ ოთხ კომპონენტის ნარევის დაყოფა, გამოყენებული იყო შემდეგი მოძრავი ფაზები: მეთანოლი და აცეტონიტრილი, რომლებსაც დამატებული აქვს 0.1% დიეთილამინი (v/v).


ბ) ექსპერიმენტში გამოყენებული ქირალური სელექტორები:



სურათი 7. ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი)-ს სტრუქტურა.



სურათი 14. ცელულოზა ტრის(4-მეთილბენზოატი)-ს სტრუქტურა.




სურათი 15. ამილოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი)-ს სტრუქტურა.

ექსპერიმენტში გამოყენებული იყო სტანდარტული 25 სმ-ის სიგრძის სვეტები 4,6 მმ შიგა დიამეტრით. ნაწილაკების ზომა 3 მკმ. ქირალური სელექტორის დაფენის ხარისხი 25 %, სილიკაგელის ფორების ზომა 1000 ანგსტრემი.


ექსპერიმენტში გამოყენებული სვეტები (გარდა Lux Cellulose 3-სა და Lux i-Amylose 3-სა) შევსებულია თსუ-ს ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის ლაბორატორიაში.

გ) ექსპერიმენტში გამოყენებული იყო 170-ზე მეტი ქირალური ნივთიერება.


ქვემოთ მოცემულია აღნიშნული ქირალური ნივთიერებების მცირე ნაწილის სტრუქტურული ფორმულები:




კეტოპროფენი




ზალტოპროფენი




ტროგერის ფუძე




1-ფენილეთანოლი




ნომიფენსინი



ბიტერტანოლი




სულინდაკი




პენკონაზოლი






ცოპიკლონი



პრაზიქუანტელი



2-(3-მეთილ-ბენზილსულფინილ) ბენზამიდი

ნახ.1. ნაშრომში გამოყენებული ქირალური ნივთიერებების მცირე ნაწილის სტრუქტურული ფორმულები.

დანარჩენი ქირალური ნივთიერებების სტრუქტურული ფორმულები იხილეთ დანართ 1-ში.

დ) ტემპერატურა: ოთახის ტემპერატურა, ხოლო ტემპერატურული კვლევის დროს: 10-75°C, ბიჯით 5°C და 75°C-ის შემდეგ ტემპერატურის დადმავალი მიმართულებით ისევ 10°C -მდე.



ე) ნაკადის სიჩქარე: 1 მლ/წთ.

ვ) დეტექტორის ტალღის სიგრძე: 254 ნმ.


#### 4. კვლევის შედეგები და მათი განსჯა

##### 4.1. სილიკაგელზე დაფენილი და კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი) შედარებითი დახასიათება ენანტიომერული ნარევების დასაყოფად მოძრავ ფაზად მეთანოლის გამოყენებით

მოცემულ ექსპერიმენტში გამოყენებული იყო 172 ქირალური ნივთიერება. აქედან 117 იყო ფუძე ბუნების, 34 მჟავა ბუნების და 21 ნეიტრალური ბუნების. კოვალენტურად იმობილიზებულ სვეტზე გამოვლინდა უფრო მეტი ფუძისეული და ნაწილობრივი დაყოფა, როგორც ფუძე, ასევე მჟავა და ნეიტრალური ბუნების ნივთიერებების შემთხვევაში სილიკაგელზე დაფენილ სვეტთან შედარებით.




სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი) მჟავა ბუნების ნივთიერებები




■ ფუძისეული დაყოფა ■ ნაწილობრივი დაყოფა ■ არ დაიყო

სილიკაგელზე დაფენილი ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი) მჟავა ბუნების ნივთიერებები




■ ფუძისეული დაყოფა ■ ნაწილობრივი დაყოფა ■ არ დაიყო

სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი) ნეიტრალური ბუნების ნივთიერებები





■ ფუძისეული დაყოფა ■ ნაწილობრივი დაყოფა ■ არ დაიყო





სილიკაგელზე დაფენილი ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი) ნეიტრალური ზუნების ნივთიერებები



■ ფუძისეული დაყოფა   ■ ნაწილობრივი დაყოფა   ■ არ დაიყო

მაგალითისთვის შევადართ სილიკაგელზე დაფენილი და კოვალენტურად იმობილიზებულ სვეტებზე ნომიფენსინის, ტროგერის ფუძის და 1-ფენილეთანოლის ენანტიომერების დაყოფა მოძრავ ფაზად მეთანოლის გამოყენებით.






ნახ.2. ნომიფენსინის (ა,ბ), ტროგერის ფუძის (გ,დ) და 1-ფენილეთანოლის (ე,ვ) ენანტიომერების დაყოფა მეთანოლში სილიკაგელზე დაფენილი და კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი)-ს გამოყენებით.


სამივე ნივთიერების შემთხვევაში აშკარაა სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზას ნაწარმით მომზადებული ქირალური სტაციონარული ფაზის უპირატესობა სილიკაგელზე დაფენილ ცელულოზას იგივე ნაწარმით მომზადებულ ქირალურ სტაციონარულ ფაზასთან შედარებით. სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ქირალური სელექტორით მომზადებული სტაციონარული ფაზის გამოყენებისას მივიღეთ ფუძისეული დაყოფები, ხოლო სილიკაგელზე დაფენილი ქირალური სელექტორით მომზადებული სტაციონარული ფაზის გამოყენებისას ადგილი აქვს ნაწილობრივ დაყოფებს.

**4.2. სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატის) დახასიათება ენანტიომერული ნარევების დასაყოფად მოძრავ ფაზად ჰექსანი/იზოპროპანოლის (სხვადასხვა მოცულობითი თანაფარდობით) გამოყენებით**

მოცემულ ექსპერიმენტში გამოყენებული იყო 172 ქირალური ნივთიერება. აქედან 117 იყო ფუძე ბუნების, 34 მჟავა ბუნების და 21 ნეიტრალური ბუნების. ექსპერიმენტი ჩავატარეთ მხოლოდ კოვალენტურად იმობილიზებულ სვეტზე, რადგან სილიკაგელზე დაფენილი ქირალური სელექტორი არ არის მდგრადი ჰექსანი/იზოპროპანოლის (სხვადასხვა მოცულობითი თანაფარდობით) მიმართ, ამიტომ ქირალური სელექტორი სვეტიდან გამოირეცხება.




სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი) მჟავა ბუნების ნივთიერებები



■ ფუძისეული დაყოფა ■ ნაწილობრივი დაყოფა ■ არ დაიყოფა

სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი) ნეიტრალური ბუნების ნივთიერებები



■ ფუძისეული დაყოფა ■ ნაწილობრივი დაყოფა ■ არ დაიყოფა




აღსანიშნავია, რომ მოძრავ ფაზად ჰექსანი/იზოპროპანოლის (სხვადასხვა მოცულობითი თანაფარდობით) გამოყენების შემთხვევაში მჟავა ბუნების ნივთიერებების 65%, ხოლო ნეიტრალური ბუნების ნივთიერებების 82% ფუძისეულად დაიყო.

**4.3. სილიკაგელზე დაფენილი და კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატის) შედარებითი დახასიათება ენანტიომერული ნარევების დასაყოფად მოძრავ ფაზად აცეტონიტრილის გამოყენებით**


მოცემულ ექსპერიმენტში გამოყენებული იყო 172 ქირალური ნივთიერება. აქედან 117 იყო ფუძე ბუნების, 34 მჟავა ბუნების და 21 ნეიტრალური ბუნების.



კოვალენტურად იმობილიზებულ სვეტზე გამოვლინდა უფრო მეტი ფუძისეული და ნაწილობრივი დაყოფა, როგორც ფუძე, ასევე მჟავა და ნეიტრალური ბუნების ნივთიერებების შემთხვევაში სილიკაგელზე დაფენილ სვეტთან შედარებით.




სილიკაგელზე დაფენილი ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი) მჟავა ბუნების ნივთიერებები




■ ფუძისეული დაყოფა ■ ნაწილობრივი დაყოფა ■ არ დაიყო

სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი) ნეიტრალური ბუნების ნივთიერებები







■ ფუძისეული დაყოფა ■ ნაწილობრივი დაყოფა ■ არ დაიყო

სილიკაგელზე დაფენილი ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი) ნეიტრალური ბუნების ნივთიერებები



■ ფუძისეული დაყოფა ■ ნაწილობრივი დაყოფა ■ არ დაიყო

მაგალითისთვის შევადართ სილიკაგელზე დაფენილი და კოვალენტურად იმობილიზებული ტროგერის ფუძის და სულინდაკის ენანტიომერების დაყოფა მოძრავ ფაზად აცეტონიტრილის გამოყენებით.






ნახ.3. ტროგერის ფუძის (ა,ბ) და სულინდაკის (გ,დ) ენანტიომერების დაყოფა აცეტონიტრილში სილიკაგელზე დაფენილი და კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი)-ს გამოყენებით.

ორივე ნივთიერების შემთხვევაში აშკარაა სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ქირალური სელექტორის უპირატესობა სილიკაგელზე დაფენილ ქირალურ სელექტორთან შედარებით. სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ქირალური სელექტორის გამოყენებისას მივიღეთ ფუძისეული დაყოფები, ხოლო სილიკაგელზე დაფენილი ქირალური სელექტორის გამოყენებისას ადგილი აქვს ნაწილობრივ დაყოფებს.

#### **4.4. მოძრავი ფაზის ოპტიმიზაცია**

უძრავ ფაზად ექსპერიმენტში გამოყენებულია სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ქირალური ქირალურის სელექტორი ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი). როგორც ბიტერტანოლის, ასევე ნიმოდიპინის ენანტიომერების დაყოფის დროს მივიღეთ ფუძისეული დაყოფები ჰექსანი/იზოპროპანოლის-70/30 გამოყენებისას, ხოლო მოძრავ ფაზად მეთანოლის გამოყენებისას არ ქონდა ადგილი ენანტიომერების დაყოფას.




ნახ.4. ბიტერტანოლის ენანტიომერების დაყოფა მოძრავ ფაზად ჰექსანი/იზოპროპანოლის-70/30+0.1%DEA (v/v) (ა) მეთანოლის (ბ) და აცეტონიტრილის (გ) გამოყენებით სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ქირალური სელექტორის დროს.

**4.5. სილიკაგელზე დაფენილი თუ კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი)?**

შეჯამებულია 170-ზე მეტი ქირალური ნივთიერების ანალიზის შედეგი და აღმოჩნდა, რომ ფუძისეული დაყოფების დროს აშკარად იგრძნობა სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ქირალური სელექტორის უპირატესობა სილიკაგელზე დაფენილ ქირალურ სელექტორთან შედარებით. ენანტიომერების ნაწილობრივი დაყოფის დროსაც სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული

ქირალური სელექტორი უკეთეს შედეგს გვაძლევს, ვიდრე სილიკაგელზე დაფენილი ქირალური სელექტორი[108].



ნახ.5. 170-ზე მეტი ქირალური ნივთიერების ანალიზი 2 სხვადასხვა სვეტის და 3 სხვადასხვა მოძრავი ფაზის გამოყენებით

სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ქირალური სელექტორის გამოყენებით 37 ქირალური ნივთიერება დაიყო ფუძისეულად, ხოლო 48 ნაწილობრივ მოძრავ ფაზად მეთანოლის გამოყენებისას.

სილიკაგელზე დაფენილი ქირალური სტაციონარული ფაზის გამოყენებით 23 ქირალური ნივთიერება დაიყო ფუძისეულად, ხოლო 41 ნაწილობრივ მოძრავ ფაზად მეთანოლის გამოყენებისას.

სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ქირალური სელექტორის გამოყენებით 55 ქირალური ნივთიერება დაიყო ფუძისეულად, ხოლო 55 ნაწილობრივ მოძრავ ფაზად აცეტონიტრილის გამოყენებისას.





სილიკაგელზე დაფენილი ქირალური სელექტორის გამოყენებით 15 ქირალური ნივთიერება დაიყო ფუძისეულად, ხოლო 42 ნაწილობრივ მოძრავ ფაზად აცეტონიტრილის გამოყენებისას.

სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ქირალური სელექტორის გამოყენებით 100 ქირალური ნივთიერება დაიყო ფუძისეულად, ხოლო 47 ნაწილობრივ მოძრავ ფაზად ჰექსანი/იზოპროპანოლის გამოყენებისას.

#### 4.6. ტემპერატურის როლის შესწავლა ენანტიომერული ნარეგების დაყოფაში

ქრომატოგრაფიულ ექსპერიმენტში ხდება ნივთიერების გადატანა ერთი ფაზიდან მეორეში. ამ პროცესს რაღაც ძალა უნდა ამოძრავებდეს, სწორედ ეს მამოძრავებელი ძალაა ენთალპიის შემცირება ან ენტროპიის გაზრდა, ან ორივე ერთდროულად.

ამ ექსპერიმენტებისთვის შეირჩა ორი მჟავა ბუნების ნივთიერება, კერძოდ არილპროპიონის მჟავას ნაწარმები, რომლებიც არასტეროიდული, ანთების საწინააღმდეგო საშუალებებია. შევისწავლეთ კეტოპროფენის და ზალტოპროფენის ენანტიომერების დაყოფის თერმოდინამიკური პარამეტრები. ანალიზები ჩატარდა სხვადასხვა ტემპერატურაზე ჰექსანი/იზოპროპანოლი-90/10+0.1%FA (v/v) მოძრავი ფაზის და სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ქირალური სელექტორის გამოყენებით. გაანალიზებული ნივთიერებების შეკავების ფაქტორის ნატურალური ლოგარითმის დამოკიდებულების გრაფიკის მიხედვით აბსოლუტური ტემპერატურის შეზღუდვებულ სიდიდეზე, გამოვთვალეთ ადსორბციის ენთალპიისა და ენტროპიის სხვაობათა მნიშვნელობები. შევისწავლეთ ენტროპიულ თუ ენთალპიურ ხასიათს ატარებს მოცემულ სვეტზე ენანტიომერების დაყოფის მექანიზმი და როგორია ტემპერატურის გავლენა შეკავებისა და დაყოფის პროცესებზე.





ნახ.6. კეტოპროფენის (ა, ბ) და ზალტოპროფენის (გ, დ) ენანტიომერების დაყოფა სხვადასხვა ტემპერატურებზე მოძრავ ფაზად ჰექსანი/იზოპროპანოლი-90/10+0.1%FA-ს (v/v) და სილიკაგელზე კოვალენტურად იმობილიზებული ქირალური სელექტორის



გამოყენებით. 10°C-დან 75°C-მდე კეტოპროფენის და ზალტოპროფენის ყველა ჩატარებული ქირალური ანალიზი იხილეთ დანართ 2-ში.



აღსანიშნავია, რომ ტემპერატურის ზრდისას ადგილი აქვს ენანტიომერების კოელუირებას, მაგრამ არ მოხდა ენანტიომერების ელუირების რიგის ცვლილება.

დაყოფის ფაქტორის ნატურალური ლოგარითმის აბსოლუტურ ტემპერატურის შებრუნებულ სიდიდეზე დამოკიდებულების გრაფიკიდან გამოვთვალეთ ენანტიომერების დაყოფის პროცესის ენთალპიისა და ენტროპიის მნიშვნელობები:



ნახ.7. დაყოფის ფაქტორის ნატურალური ლოგარითმის დამოკიდებულება აბსოლუტური ტემპერატურის შებრუნებულ სიდიდეზე კეტოპროფენის (ა) და ზალტოპროფენის (ბ) მაგალითზე.

ამით ვითვლით ორივე ენანტიომერის (ანუ ჯამურ) ენთალპიის ცვლილების ცვლილებას და ენტროპიის ცვლილების ცვლილებას. შეკავების ფაქტორის ნატურალური ლოგარითმის დამოკიდებულებით აბსოლუტური ტემპერატურის შებრუნებულ სიდიდეზე, კი გამოვითვლით ცალკეული ენანტიომერის ენთალპიის ცვლილებას და ენტროპიის ცვლილებას თხევადი ფაზიდან ადსორბირებულ მდგომარეობაში გადასვლისას.



ნახ.8. შეკავების ფაქტორის ნატურალური ლოგარითმის დამოკიდებულება აბსოლუტური ტემპერატურის შებრუნებულ სიდიდეზე კეტოპროფენის (ა) და ზალტოპროფენის (ბ) მაგალითზე.

მე-7 ნახაზზე მოცემულ გრაფიკებზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ როგორც კეტოპროფენის, ასევე ზალტოპროფენის შემთხვევაში დაყოფას ენთალპია აკონტროლებს. აღსანიშნავია, რომ მე-7 ნახაზზე მოცემული გრაფიკებიდან ადსორბციაზე ინფორმაციას ვერ ვიღებთ. მე-8 ნახაზზე მოცემული გრაფიკებიდან კი

ვაკეთებთ დასკვნას, რომ როგორც კეტოპროფენის, ასევე ზალტოპროფენის შემთხვევაში ადსორბციას (ასევე დაყოფას) ენთალპია აკონტროლებს [109].

თერმოდინამიკური პარამეტრების დათვლა კეტოპროფენის მაგალითზე (283-313 K):

$$\ln \alpha = -\frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{R} \cdot \frac{1}{T} + \frac{\Delta_{S,R}\Delta S^0}{R}$$

$$y = 89.53x - 0.221$$

წრფის განტოლების თანახმად:

$$y = kx + l$$

ანუ:

$$y = \ln \alpha, \quad x = \frac{1}{T}, \quad k = -\frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{R}, \quad l = \frac{\Delta_{S,R}\Delta S^0}{R}$$

რადგან,

$$R = 1.9872036 \frac{\text{cal}}{\text{mol} \times \text{K}}$$

$$\Delta_{S,R}\Delta H^0 = -(89.53 \times 1.9872036) \approx -177.91 \frac{\text{cal}}{\text{mol}}$$

$$\Delta_{S,R}\Delta S^0 = -(0.221 \times 1.9872036) \approx -0.44 \frac{\text{cal}}{\text{mol} \times \text{K}}$$

პიკების კოელურიების ტემპერატურის პოვნა:

$$T_{iso} = \frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{\Delta_{S,R}\Delta S^0}$$

$$T_{iso} = \frac{-177.91}{-0.44 \text{ J}} \approx 404.34 \text{ K}$$

$$t_{iso} = T_{iso} - 273.15 = 404.34 - 273.15 = 131.19 \text{ } ^\circ\text{C}$$

თერმოდინამიკური პარამეტრების დათვლა კეტოპროფენის მაგალითზე (318-333 K):

$$\ln \alpha = -\frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{R} \cdot \frac{1}{T} + \frac{\Delta_{S,R}\Delta S^0}{R}$$

$$y = 143.1x - 0.390$$

წრფის განტოლების თანახმად:

$$y = kx + l$$

ანუ:

$$y = \ln \alpha, \quad x = \frac{1}{T}, \quad k = -\frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{R}, \quad l = \frac{\Delta_{S,R}\Delta S^0}{R}$$

რადგან,

$$R = 1.9872036 \frac{\text{cal}}{\text{mol} \times \text{K}}$$

$$\Delta_{S,R}\Delta H^0 = -(143.1 \times 1.9872036) \approx -284.37 \frac{\text{cal}}{\text{mol}}$$

$$\Delta_{S,R}\Delta S^0 = -(0.390 \times 1.9872036) \approx -0.78 \frac{\text{cal}}{\text{mol} \times \text{K}}$$

პიკების კოელურიების ტემპერატურის პოვნა:

$$T_{iso} = \frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{\Delta_{S,R}\Delta S^0}$$

$$T_{iso} = \frac{-284.37}{-0.78 \text{ J}} \approx 364.58 \text{ K}$$

$$t_{iso} = T_{iso} - 273.15 = 364.58 - 273.15 = 91.43 \text{ } ^\circ\text{C}$$

თერმოდინამიკური პარამეტრების დათვლა ზალტოპროფენის მაგალითზე (283-308 K):

$$\ln \alpha = -\frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{R} \cdot \frac{1}{T} + \frac{\Delta_{S,R}\Delta S^0}{R}$$

$$y = 37.72x - 0.072$$

წრფის განტოლების თანახმად:

$$y = kx + l$$

ანუ:

$$y = \ln \alpha, \quad x = \frac{1}{T}, \quad k = -\frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{R}, \quad l = \frac{\Delta_{S,R}\Delta S^0}{R}$$

რადგან,

$$R = 1.9872036 \frac{\text{cal}}{\text{mol} \times \text{K}}$$

$$\Delta_{S,R}\Delta H^0 = -(37.72 \times 1.9872036) \approx -74.96 \frac{\text{cal}}{\text{mol}}$$

$$\Delta_{S,R}\Delta S^0 = -(0.072 \times 1.9872036) \approx -0.14 \frac{\text{cal}}{\text{mol} \times \text{K}}$$

პიკების კოელუირების ტემპერატურის პოვნა:

$$T_{iso} = \frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{\Delta_{S,R}\Delta S^0}$$

$$T_{iso} = \frac{-74.96}{-0.14 \text{ J}} \approx 535.43 \text{ K}$$

$$t_{iso} = T_{iso} - 273.15 = 535.43 - 273.15 = 262.28 \text{ } ^\circ\text{C}$$

თერმოდინამიკური პარამეტრების დათვლა ზალტოპროფენის მაგალითზე (313-323 K):

$$\ln \alpha = -\frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{R} \cdot \frac{1}{T} + \frac{\Delta_{S,R}\Delta S^0}{R}$$

$$y = 97.00x - 0.263$$

წრფის განტოლების თანახმად:

$$y = kx + l$$

ანუ:

$$y = \ln \alpha, \quad x = \frac{1}{T}, \quad k = -\frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{R}, \quad l = \frac{\Delta_{S,R}\Delta S^0}{R}$$

რადგან,

$$R = 1.9872036 \frac{\text{cal}}{\text{mol} \times \text{K}}$$

$$\Delta_{S,R}\Delta H^0 = -(97.00 \times 1.9872036) \approx -192.76 \frac{\text{cal}}{\text{mol}}$$

$$\Delta_{S,R}\Delta S^0 = -(0.263 \times 1.9872036) \approx -0.52 \frac{\text{cal}}{\text{mol} \times \text{K}}$$

პიკების კოელურიების ტემპერატურის პოვნა:

$$T_{iso} = \frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{\Delta_{S,R}\Delta S^0}$$

$$T_{iso} = \frac{-192.76}{-0.52 \text{ J}} \approx 370.69 \text{ K}$$

$$t_{iso} = T_{iso} - 273.15 = 370.69 - 273.15 = 97.54 \text{ } ^\circ\text{C}$$

5

$\Delta H_s$ cal/mol	$\Delta H_R$ cal/mol	$\frac{\Delta S^0}{R} + \ln \phi$ cal/mol	$\frac{\Delta S^0}{R} + \ln \phi$ cal/mol	$\Delta\Delta H_{S,R}$ cal/mol	$\Delta\Delta S_{R,S}$ cal/mol	$T_{iso}, \text{ K}$
-2086.76	-2379.28	-5.70	-6.53	-177.91 (283- 313 K)	-0.44 (283- 313 K)	404 (283- 313 K)
				-284.37 (318- 333 K)	-0.78 (318- 333 K)	365 (318- 333 K)

8

$\Delta H_s$ cal/mol	$\Delta H_R$ cal/mol	$\frac{\Delta S^0}{R} + \ln \phi$ cal/mol	$\frac{\Delta S^0}{R} + \ln \phi$ cal/mol	$\Delta\Delta H_{S,R}$ cal/mol	$\Delta\Delta S_{R,S}$ cal/mol	$T_{iso}, \text{ K}$
-2280.32	-2504.47	-6.18	-6.83	-74.96 (283- 308 K)	-0.14 (283- 308 K)	535 (283- 308 K)
				-192.76 (313- 323 K)	-0.52 (313- 323 K)	370 (313- 323 K)

ცხრილი 1. კეტოპროფენის (ა) და ზალტოპროფენის (ბ) თერმოდინამიკური პარამეტრები.

სელექტივობის მიხედვით გამოთვლილ თერმოდინამიკურ პარამეტრებს აქვს ორი სხვადასხვა მნიშვნელობა: დაბალი ტემპერატურების დროს და მაღალი ტემპერატურების დროს. დაბალ ტემპერატურაზე ენთალპიური წევრის მნიშვნელობა არის მაღალი.

$$\ln \alpha = -\frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{R} \cdot \frac{1}{T} + \frac{\Delta_{S,R}\Delta S^0}{R}$$

ფორმულის მიხედვით, როცა დაყოფას განაპირობებს ენთალპიური წევრი, ტემპერატურის გაზრდით ენთალპიური წევრის რიცხვითი მნიშვნელობა ნელ-ნელა მცირდება და რაღაც გარკვეული დროის შემდეგ, გარკვეულ ტემპერატურაზე მისი წვლილი დაყოფაში უტოლდება ენტროპიულ წევრს, ამ ტემპერატურას ეწოდება იზოენანტიოსელექტიური ტემპერატურა და გამოითვლება შემდეგი ფორმულით.

$$T_{iso} = \frac{\Delta_{S,R}\Delta H^0}{\Delta_{S,R}\Delta S^0}$$

ამ დროს ხდება ენთალპიურ-ენტროპიული კომპენსაცია,  $\ln \alpha = 0$ ,  $\alpha = 1$ , რადგან სელექტივობა 1-ის ტოლია დაყოფა არ მოხდება.


ენანტიომერების დაყოფა ხდება, როდესაც მათი თავისუფალი ენერგიების სხვაობა უარყოფითია. თავისუფალი ენერგიის უარყოფითი მნიშვნელობა შეიძლება განპირობებული იყოს ენთალპიის შემცირებით და/ან ენტროპიის გაზრდით. მოცემულ ანალიზში, თავდაპირველად ენთალპიური წევრი ხელს უწყობს დაყოფას, ხოლო ენტროპიული, პირიქით, უარყოფითად მოქმედებს მასზე, ანუ პროცესს აქვს ენთალპიური კონტროლი. ორივე შემთხვევაში როგორც ენთალპიური, ასევე ენტროპიული წევრი უარყოფითია, ამიტომ დაყოფის პროცესი მიმდინარეობს ენთალპიური კონტროლით.



#### 4.7. ენანტიომერების პიკების ფართობებს შორის განსხვავებაზე დაკვირვება სელექტივობასთან მიმართებაში მას-სპექტრომეტრული დეტექტორის გამოყენებისას


შევამჩნიეთ, რომ როდესაც ნიმუშის კონცენტრაცია მაღალია, ენანტიომერებს განსხვავებული გამოძახილი დაიკვირვება სრული დენის ქრომატოგრამაში (TIC), მაშინ როცა ცვალებადი ტალღის სიგრძის ულტრაიისფერმა ხილულმა დეტექტორმა (VWD) აჩვენა, რომ ორივე ენანტიომერის ფართობი ერთმანეთის ტოლია. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა შემდეგი: ორი ენანტიომერის განსხვავებული ფართობები (TIC)-ში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიიღება თუ ეს დამოკიდებულია დაყოფის სელექტიურობაზე, ნივთიერებების კონცენტრაციაზე ან სხვა ფაქტორებზე.

ექსპერიმენტის ფარგლებში შევისწავლეთ 100-მდე ქირალური ნივთიერების ენანტიომერების დაყოფა სილიკაგელზე დაფენილ და კოვალენტურად იმობილიზებულ ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატის) საფუძველზე მომზადებულ სვეტებზე მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიაში. დაკვირვება მიმდინარეობდა თანმიმდევრულად ჩართული UV-VIS და MS/MS დეტექტორებით.




ნახ.9.1. პენკონაზოლის ენანტიომერების დაყოფა სილიკაგელზე დაფენილი ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი)-ს გამოყენებით, მოძრავი ფაზა: მეთანოლი/წყალი - 97/3 (მოცულობითი თანაფარდობით), რომელსაც დამატებული აქვს 5 მილიმოლი ამონიუმის აცეტატი.

სელექტივობა 1.19-ის ტოლია, ხოლო ენანტიომერების პიკების ფართობებს შორის განსხვავება რაცემატში (TIC) –2.8%. პენკონაზოლის მოლეკულური მასაა 284.2გ/მოლი.




ნახ.9.2. ბიტერტანოლის ენანტიომერების დაყოფა სილიკაგელზე დაფენილი ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი)-ს გამოყენებით, მოძრავი ფაზა: აცეტონიტრილი/წყალი - 97/3 (მოცულობითი თანაფარდობით), რომელსაც დამატებული აქვს 5 მილიმოლი ამონიუმის აცეტატი.

სელექტივობა 1.71-ის ტოლია, ხოლო ენანტიომერების პიკების ფართობებს შორის განსხვავება რაცემატში (TIC) –8.3%. ბიტერტანოლის მოლეკულური მასაა 337.4155გ/მოლი.



ნახ.9.3. ცოპიკლონის ენანტიომერების დაყოფა სილიკაგელზე დაფენილი ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი)-ს გამოყენებით, მოძრავი ფაზა: აცეტონიტრილი/წყალი - 97/3 (მოცულობითი თანაფარდობით), რომელსაც დამატებული აქვს 5 მილიმოლი ამონიუმის აცეტატი.

სელექტივობა 1.81-ის ტოლია, ხოლო ენანტიომერების პიკების ფართობებს შორის განსხვავება რაცემატში (TIC) –24.4%. ცოპიკლონის მოლეკულური მასაა 388.81გ/მოლი.




ნახ.9.4. 2-(3-მეთილ-ბენზილსულფინილ) ბენზამიდის ენანტიომერების დაყოფა სილიკაგელზე დაფენილი ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი)-ს გამოყენებით, მოძრავი ფაზა: მეთანოლი/წყალი - 97/3 (მოცულობითი თანაფარდობით), რომელსაც დამატებული აქვს 5 მილიმოლი ამონიუმის აცეტატი.

სელექტივობა 10.36-ის ტოლია, ხოლო ენანტიომერების პიკების ფართობებს შორის განსხვავება რაცემატში (TIC) –60.3%. 2-(3-მეთილ-ბენზილსულფინილ) ბენზამიდის მოლეკულური მასაა 273 გ/მოლი.


აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევებში ენანტიომერების პიკების ფართობებს შორის განსხვავება რაცემატში (TIC)-ში სელექტივობის ზრდასთან ერთად იზრდება.

#### 4.8. განზავების გავლენა ენანტიომერების პიკების ფართობებს შორის განსხვავებაზე




ნახ.10.1. 1მგ/მლ პრაზიქუანტელის ენანტიომერების დაყოფა სილიკაგელზე იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი)-ს გამოყენებით, მოძრავი ფაზა: მეთანოლი/წყალი - 97/3 (მოცულობითი თანაფარდობით), რომელსაც დამატებული აქვს 5 მილიმოლი ამონიუმის აცეტატი.

სელექტივობა 1.64-ის ტოლია, ხოლო ენანტიომერების პიკების ფართობებს შორის განსხვავება რაცემატში (TIC) –32.8%. პრაზიქუანტელის მოლეკულური მასაა 312.411გ/მოლი.



ნახ.10.2. 0.1მგ/მლ პრაზიქუანტელის ენანტიომერების დაყოფა სილიკაგელზე იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი)-ს გამოყენებით, მოძრავი ფაზა: მეთანოლი/წყალი - 97/3 (მოცულობითი თანაფარდობით), რომელსაც დამატებული აქვს 5 მილიმოლი ამონიუმის აცეტატი.

სელექტივობა 1.64-ის ტოლია, ხოლო ენანტიომერების პიკების ფართობებს შორის განსხვავება რაცემატში (TIC) –21.2%.



ნახ.10.3. 0.01მგ/მლ პრაზიკუანტელის ენანტიომერების დაყოფა სილიკაგელზე იმობილიზებული ცელულოზა ტრის(3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატი)-ს გამოყენებით, მოძრავი ფაზა: მეთანოლი/წყალი - 97/3 (მოცულობითი თანაფარდობით), რომელსაც დამატებული აქვს 5 მილი მოლი ამონიუმის აცეტატი.

სელექტივობა 1.64-ის ტოლია, ხოლო ენანტიომერების პიკების ფართობებს შორის განსხვავება რაცემატში (TIC) –8.7%.


აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევებში ნიმუშის განზავებისას ენანტიომერების პიკების ფართობებს შორის განსხვავება რაცემატში (TIC)-ში მცირდება.

#### 4.9. ოთხ კომპონენტანი ნარევის დაყოფა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფია-მას-სპექტრომეტრის გამოყენებით

ოთხ კომპონენტანი ნარევის დასაყოფად შევიმუშავეთ იზოკრატიული, ენანტისელექტიური მეთოდი მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფია - მას-სპექტრომეტრიაში. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს დავყოთ და რაოდენობრივად განვსაზღვროთ დექსტრო- (DXM) და ლევო- მეთორფანი (LVM) და მათი ფარმაკოლოგიურად აქტიური მეტაბოლიტები, დექსტრორფანი და ლევორფანოლი ადამიანის სისხლის ნიმუშებში.

უნდა აღინიშნოს, რომ მეთორფანის ენანტიომერების ფსიქოტროპული ეფექტი და ლეგალური სტატუსი განსხვავებულია, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი ენანტიომერების დაყოფა. დექსტრომეთორფანი არის უსაფრთხო პრეპარატი, რომელსაც იყენებენ ხველების საწინააღმდეგოდ (დაბალი დოზებით), მისი მაღალი დოზით მიღება კი იწვევს ჰალუცინაციებს. რაც შეეხება ლევომეთორფანს, ის მორფინზე ძლიერი ნარკოტიკული საშუალებაა.

ექსპერიმენტში საანალიზო ნიმუშს წარმოადგენს შემდეგი ნარევი: ლევომეთორფანი, დექსტრომეთორფანი, დექსტრორფანი და ლევორფანოლ - d<sub>3</sub>. აღსანიშნავია, რომ ლევომეთორფანი და დექსტრომეთორფანი არიან ენანტიომერები; დექსტრორფანი და ლევორფანოლ - d<sub>3</sub> კი მათი მეტაბოლიტები. ლევორფანოლ - d<sub>3</sub> გამოვიყენეთ არადეიტერირებული ლევორფანოლის ნაცვლად.



